# მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში
# გაწეული მუშაობის შესახებ

2024 წელი

# ადგილობრივი ბიუჯეტი

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში შედის ოთხი განყოფილება: ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების; შესყიდვების; ბუღალტრული აღრიცხვის და ხაზინის განყოფილება.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამუშაო გეგმა და ამოცანები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „საბიუჯეტო კოდექსისა" და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით და ბრძანებებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებით, მუნიციპალიტეტის მერიის და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულებით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წარმოდგენილი წლიური ხარჯთაღრიცხვის პროექტების გათვალისწინებით მოხდა წინადადებების შემუშავება და განისაზღვრა ბიუჯეტის პრიორიტეტები და მათი საბიუჯეტო გეგმები პროგრამებსა და ქვეპროგრამების ფარგლებში. მომზადდა 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერა კვარტლების მიხედვით. მომზადდა და საკრებულოს წარედგინა „საბიუჯეტო კოდექსის" შესაბამისად 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი და მეორე კვარტლის ანგარიშები, რომლებიც მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეფასებულ იქნა დამაკმაყოფილებლად. საბიუჯეტო კალენდრის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით განისაზღვრა 2025 -2028 წლების პრიორიტეტები, მომზადდა პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განისაზღვრა ზღვრული მოცულობები, ჭერებისა და რიცხოვნების მითითებით, რომელიც დაეგზავნათ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, რომლის შესაბამისადაც მათ წარმოადგინეს განაცხადის ფორმები, რის საფუძველზეც საფინანსო საბიუჯეტო სამსახურმა მოამზადა 2025-2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტი, რომლითაც მტკიცდება საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა მიმდინარე წლის პირველ სექტემბერს. შესაბამისად მომზადდა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური აგრეთვე სისტემატურად ახორციელებდა კონტროლს საბანკო დაწესებულებების მიერ საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის შემოსავლების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამიჯვნის სისწორეზე და ბიუჯეტის დადგენილი წესით საკასო შესრულებაზე. ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში მზადდება ანგარიში. ასევე, ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში

წარედგინება საკრებულოს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.

სისტემატურად ეწეოდათ დახმარება ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, თემატურდ მოწმდებოდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის სისწორეზე. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 2 ცვლილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 იანვრის N1 და 15 აგვისტოს N4 დადგენილებებით, ხოლო მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით 10 ჯერ მოხდა ბიუჯეტის დაზუსტება, რის შესახებაც დროულად ეცნობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილებამ 01.01.2024 წლიდან 30.09.2024 წელს ჩათვლით გააფორმა 382 ხელშეკრულება, მ.შ გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 191 ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერების ფარგლებში 171 ხელშეკრულება, ხოლო კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 20 ხელშეკრულება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გამოცხადებულ იქნა 216 ელექტრონული ტენდერი, მ.შ 192 აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი (NAT) და 24 ელექტრონული (SPA) ტენდერი. მ.შ დადებითი შედეგით დასრულდა 160 ტენდერი, შერჩევა-შეფასების ეტაპზეა 3 ტენდერი, უარყოფითი შედეგით დასრულდა 11 ტენდერი, არ შედგა 30 ტენდერი, შეწყდა 4 ტენდერი, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზეა 8 ტენდერი (15.10.2024 წლის მდგომარეობით).

განხორცილებულ იქნა ბაზრის კვლევები სხვადასხვა სამუშაოებსა და მომსახურებებზე, განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების გეგმის კორექტირებები საჭიროებებიდან გამომდინარე, განხორციელდა საქონლისა და მომსახურების ელექტრონული ფორმით შესყიდვისას გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის (ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებები და სხვა) ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ყოველივე ზემოთხსენებული ხორციელდებოდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მიმდინარეობის ანგარიშს დროულად აწოდებდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დადგენილი წესის შესაბამისად.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური დებულების შესაბამისად უზრუნველყოფდა ბიუჯეტის შემოსულობებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის შეკრებას, ასევე იღებდა მონაწილეობას ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიმდინარე, კვარტალური და ყოველწლიური ანგარიშების მომზადებაში. საკასო და ფაქტიური ხარჯების აღრიცხვის წარმოებაში, დაწესებულ ვადებში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და ბალანსის შედგენაში. ასევე ახდენდა მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეების ხელფასების, მივლინების ხარჯებისა და სხვა გადასახდელების გაცემის მიზნით გაანგარიშებების და შესაბამისი უწყისების მომზადებას.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფდა საგადასახადო დეკლარაციისა და განაცემთა ინფორმაციის წარდგენას საქართველოს შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, ბუღალტერიაში შემოსული აღრიცხვის დოკუმენტების შემოწმებას როგორც ფორმისა (დოკუმენტის სისრულე და გაფორმების სისწორე) და შინაარსის მიხედვით (სამეურნეო ოპერაციის კანონიერება, ცალკეული მაჩვენებლების ლოგიკური შესაბამისობა), ასევე, არითმეტიკულად. ძირითად გადამოწმებად პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებს წარმოადგენდა შესრულებული სამუშაოების მიღების ფორმა N2-ები და მიღება-ჩაბარების აქტები. ასევე ხორციელდებოდა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორებათა სრული და დროულ აღრიცხვა და ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალურ/ელექტრონული ფორმის დოკუმენტების დადგენილი წესით შენახვა.

ხაზინის განყოფილება შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე ახდენს ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევას, შესაბამისი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეების ხელფასების, მივლინების ხარჯებისა და სხვა გადასახდელების გაცემას, მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას. 2024 წელს 01 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, ხაზინის განყოფილების მიერ გადარიცხული თანხის ოდენობამ შეადგინა **17 050 570** ლარი. გადარიცხულ იქნა **6 259** საგადახდო მოთხოვნა. მათ შორის;

1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა შეადგინა 4 215 037 ლარი
2) ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯებმა 10 748 267 ლარი
3) განათლების ხარჯებმა 627 307 ლარი
4) კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები 119 536 ლარი
5) რელიგიური ღონისძიებების დაფინანსება 70 000 ლარი
6) მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 1 270 423 ლარი.

## ინფრასტრუქტურა, ურბანული განვითარება და არქიტექტურა

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური ფუნქციონირებს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 08 დეკემბრის N52 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. სამსახურის შემადგენლობაშია ორი განყოფილება. გასული წლის მდგომარეობით სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციების შემუშავება და მშენებლობის ნებართვისათვის გადაწყვეტილებების მომზადება.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით მარტვილის მუნიციპალიტეტში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

1. აბედათის ადმ. ერთეულში, ლემიქავეს უბანში ეკლესიიდან ზური მიქავას სახლამდე საავტომობილო გზის ა/ბეტონით საფარის მოწყობა, ღირებულებით 1 039 999 ლარი. კილომეტრი 3.2
2. ვედიდკარის ადმ. ერთეულში, ფანცულაიების უბანში თამაზ დანელიას სახლიდან ნარგიზა დანელიას სახლამდე საავტომობილო გზის ა/ბეტონით მოწყობა, ღირებულებით 2 067 789 ლარი. კილომეტრი 3.5
3. ნოჯიხევი-ლეხაინდრაოს დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა, ღირებულებით 1 158 000 ლარი, კილომეტრი 4.4
4. სერგიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდ.აბაშის ხიდიდან ბობოთის მიმართულებით გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა, ღირებულებით 152 262 ლარი. კილომეტრი 0.5
5. ქ.მარტვილი, ჩიქვანაიას ქუჩიდან ძაძამიას ქუჩის გავლით სავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით 861 000 ლარი. კილომეტრი 3
6. დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სტადიონის მშენებლობა ღირებულებით 198 000 ლარი.
7. თამაკონის ადმინისტრაციული ერთეულის, შკანთის უბანში მინი სტადიონის მშენებლობა ღირებულებით 170 000 ლარი.

## მიმდინარე ობიექტები

8. მიმდინარეობს დიდიჭყონის ადმ. ერთეულის ცენტრიდან თამაზი ბასილაიას სახლამდე და ბადრი თოდუას სახლიდან ირა ბოროდოვას სახლამდე საავტომობილო გზის

ა/ბეტონის საფარით მოწყობა, მთლიანი ღირებულებით 1 718 896 ლარი, 2024 წელს სრულდება 685 270 ლარის სამუშაოები.

9. მიმდინარეობს ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაგვაზაოს ცენტრიდან ფაციების უბნის გავლით ხუნწის ადმინისტრაციული ერთეულის, ლეციცხვაიეს საბავშვო ბაღამდე საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა, მთლიანი ღირებულებით 2 560 000 ლარი, 2024 წელს სრულდება 631 571 ლარის სამუშაოები.

10. მიმდინარეობს დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში, მეურნეობა-ლედგებეს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ა/ბეტონისა და რკ/ბეტონის საფარით მოწყობა, მთლიანი ღირებულებით 1 687 700 ლარი, 2024 წელს სრულდება 353 916 ლარის სამუშაოები.

11. მიმდინარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ჭყონის მეურნეობის დღვანა-ლექობალეს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ა/ბეტონისა და რკ/ბეტონის საფარით მოწყობა, მთლიანი ღირებულებით 2 518 000 ლარი, 2024 წელს სრულდება 526 316 ლარის სამუშაოები.

12. მიმდინარეობს თამაკონის ადმინისტრაციული ერთეულის, თარგამეულის უბანში საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა, მთლიანი ღირებულებით 2 624 342 ლარი, 2024 წელს სრულდება 647 084 ლარის სამუშაოები.

13. მიმდინარეობს თამაკონის ადმინისტრაციული ერთეულის, შკანთას უბანში, ლაზარეს ტაძრამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობა, მთლიანი ღირებულებით 1 227 750 ლარი, 2024 წელს სრულდება 386 647 ლარის სამუშაოები.

14. მიმდინარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტში, ნახუნაო-წინაკვერკვეს, აბედათი-ლექაჯაიეს და სერგიეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა, მთლიანი ღირებულებით 2 772 453 ლარი, 2024 წელს სრულდება 526 316 ლარის სამუშაოები.

15. მიმდინარეობს ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლებაჩე-ნალეფსაოს და კანიონის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა, მთლიანი ღირებულება 966 618 ლარი, 2024 წელს სრულდება 254 373 ლარის სამუშაოები.

16. მიმდინარეობს ნახუნაოს ადმინისტრაციული ერთეულის, ჭაბურთის უბანში, ვლადიმერ სულავას სახლიდან ჭაბურთის უბნის გავლით ნახუნაოს ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრამდე და ჯამბულ წულაიას სახლიდან მარტვილი-ნახუნაოს დამაკავშირებელ ცენტრალურ გზამდე საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა, მთლიანი ღირებულებით 1 349 327 ლარი, 2024 წელს სრულდება 355 086 ლარის სამუშაოები.

## სკოლები

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ოთხ საჯარო სკოლას; (ქ.მარტვილის N2; თამაკონის; ლეცავეს, კიწიის საჯარო სკოლები).

მიმდინარეობს ორი საჯარო სკოლის მშენებლობა (ტალერი, ზედა ხუნწი).

## საბავშვო ბაღები

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დასრულდა: ბანძის და დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ცენტრში საბავშვო ბაღების მშენებლობა, რომელიც გათვლილია 100 ბავშვზე, ასევე მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს კიწიის, გურძემის, გაჭედილის და სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები.

**ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით დაგეგმილი პროექტებიდან შესრულდა შემდეგი პროექტები:**

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 5745 ლარი.
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობებზე არსებული გათბობის ქვაბების დამცავი კარადების მოწყობის სამუშაოები, თანხით 7722 ლარი.
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის:
   ა) ქ. მარტვილში საელიაოს უბანში გულნოზი სულაბერიძის სახლთან გარეგანათების მოწყობის სამუშაოები
   ბ) ქ. მარტვილში ლერმონტოვის ქუჩის გარეგანათების მოწყობის სამუშაოები
   გ) ქ. მარტვილში (ქვაითის) ხუნწელიების უბნის მიმართულებით გარეგანათების მოწყობის სამუშაოები

დ) სერგიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გაწერელიების უბანში კახა გაწერელიას სახლიდან გელა ფეტელავას სახლამდე გარეგანათების მოწყობის სამუშაოები

ე) ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯეგელეს უბანში გარეგანათების მოწყობის სამუშაოები

ზ) ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში ბანძა-მარტვილის მიმართულებით გარეგანათების მოწყობის სამუშაოები, თანხით 29 651 ლარი.

4. მარტვილის მუნიციპალიტეტის თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში, თარგამეულის უბანში არსებულ მინი სტადიონის მეორე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ხელოვნური საფარისა და გარეგანათების მოწყობა) თანხით 28 755 ლარი.
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში ლეფეტელავეს, ლეადამიეს და შკანთას უბნებში დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 9 465 ლარი.
6. მარტვილის მუნიციპალიტეტის გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში ლეხვიჩიეს უბნში ( ავთანდილ ჯგერნაიას სახლთან ) დაზიანებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 8 017 ლარი.
7. მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში ლედგებეს უბანში მე-7 ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 4 837 ლარი.
8. მარტვილის მუნიციპალიტეტის გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ მე-2 გურძემში აშორდიების უბანში გოჩა აშორდიას სახლის მიმდებარედ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 5747 ლარი.
9. მარტვილის მუნიციპალიტეტის გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულში ბალდის უბანში ვანო ბჟალავას სახლთან რ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები. თანხით 2 709 ლარი.
10. მარტვილის მუნიციპალიტეტის კიწიის ადმინისტრაციულ ერთეულში პირველი კიწიის უბანში მდ. ლახვაშიას ხიდთან გაბიონის მოწყობის სამუშაოები. თანხით 1504 ლარი.
11. მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი-სტადიონის სადემონტაჟო სამუშაოები. თანიხით 4 478 ლარი.
12. მარტვილის მუნიციპალიტეტის ვედიდკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მუხურჩის უბანში ირაკლი სურმავას სახლიდან აკაკი მაისაიას სახლამდე და სლავა გახოკიას სახლის გვერდით სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები. თანხით 6777 ლარი.
13. მარტვილის მუნიციპალიტეტის ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში ლებაჩეს უბანში არსებული დაზიანებული ლითონის საავტომობილო ხიდის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია. თანხით 866 ლარი.
14. ქ. მარტვილში ნალეფსაოს უბანში გია ნაჭყებიას საეზოვე მიწის ნაკვეთთან ცხაურის მოწყობის სამუშაოები, თანხით 5 123 ლარი.

15. მარტვილის მუნიციპალიტეტის ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერტეულში ზედა ნაგვაზაოში მდ. ცხენისწყალის მიმდებარედ არსებული ლუკა ჩიქვანაიას საყანე ფართობებთან მისასვლელი გზაზე უსახელო ღელეზე რ/ბეტონის მილების მოწყობის სამუშაოები. თანხით 8 860 ლარი.
16. ქ. მარტვილში ნალეფსაოს უბანში დაზიანებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 25 971 ლარი.
17. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის დერეფნისა და ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 23 978 ლარი.
18. ქ. მარტვილში თ.წოწორიას ქუჩა N6-ში შალვა წულაიას სახლთან რ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, თანხით 12 878 ლარი.
19. მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლეგულორდავეს უბანში მინისტადიონამდე არსებულ ბოძებზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები. თანხით 2228 ლარი.
20. მარტვილის მუნიციპალიტეტის ხუნწის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოჩა ხუნწელიას სახლის უკან მცოცავი გრუნტის რ/ბეტონის კედლით გამაგრების სამუშაოები, თანხით 19 369 ლარი.
21. მარტვილის მუნიციპალიტეტი დიდიჭყონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ლედგებეში, კილასონიების უბანში არსებული სტადიონის გარეგანათების მოწყობის სამუშაოები, თანხით 6778 ლარი.
22. მარტვილის მუნიციპალიტეტის კურზუს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. დღვანაში გაბედავების უბანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 5638 ლარი.
23. მარტვილის მუნიციპალიტეტის ხუნწის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ზედა ხუნწში გელენიძეების და გახოკიძეების უბანში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 8 767 ლარი.
24. მარტვილის მუნიციპალიტეტის ნაჯახაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ნაგებერაოს ცენტრიდან დათო წირქვაძის სახლამდე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 9310 ლარი.
25. მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. წაჩხურუში (ე.წ. „ჟდანოვის" უბანში ) სასაფლაოსკენ მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (სანიაღვრე არხი და გზის მოხრეშვა) თანხით 3978 ლარი.
26. მარტვილის მუნიციპალიტეტის ნახუნაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მაყვალა ჯახუას ეზოში შესასვლელი ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები, თანხით 10 771 ლარი.
27. მარტვილის მუნიციპალიტეტის გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკურდის უბანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 18 407 ლარი.

28. მარტვილის მუნიციპალიტეტის ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ დიდი ინჩხურში და სოფელ პატარა ინჩხურში სასაფლაოებისკენ მისასვლელი გზების მოხრეშვითი სამუშაოები, თანხით 5 663 ლარი.
29. მარტვილის მუნიციპალიტეტის ხუნწის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ.ქვედა ხუნწში N1 და N2 სასაფლაოებთან მისასვლელი გზებზე მოხრეშვითი და გრუნტის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, თანხით 12 206 ლარი.
30. მარტვილის მუნიციპალიტეტის კიწიის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ კიწიაში და სოფელ ნოღაში სასაფლაოებისკენ მისასვლელი გზების მოხრეშვითი სამუშაოები, თანხით 9 465 ლარი.
31. მარტვილის მუნიციპალიტეტის თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში სართანიების უბანში, ლეფეტელავეს სასაფლაოსკენ მისასვლელ გზაზე მოხრეშვითი და გრუნტის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, თანხით 14 627 ლარი.
32. მარტვილის მუნიციპალიტეტი დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში მამულის უბანში სასაფლაოსკენ მისასვლელი გზის მოხრეშვითი სამუშაოები, თანხით 7 894 ლარი.
33. ქ. მარტვილში გია ცაავას სახლთან რ/ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები, თანხით 15 575 ლარი.
34. მარტვილის უნიციპალიტეტის გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ მე-2 გურძემში, აშორდიების უბანში ენვერი ჯგერენაიას სახლის მიმდებარედ ცხაურისა და სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, თანხით 2994 ლარი.
35. მარტვილის მუნიციპალიტეტის გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში ანზორ ჯგერენაიას სახლთან ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 12 580 ლარი.
36. მარტვილის მუნიციპალიტეტის ონოღიის ადმინისტრაციულ ერთეულში ონოღია მაიდანის დამაკავშირებელი გზის (1.5კმ ) მოხრეშვითი სამუშაოები, თანხით 18 849 ლარი.
37. მარტვილის მუნიციპალიტეტის თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში, პაპავების უბანში ლავრენტი პაპავას სახლთან მისასვლელი დამეწყრილი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 14 754 ლარი.
38. მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში, წაჩხურუს უბანში გია ბერიშვილის სახლთან ბოგირის მოწყობის სამუშაოები, თანხით 17 959 ლარი.
39. მარტვილის მუნიციპალიტეტის ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხურუს უბანში მილხიდების მოწყობის სამუშაოები, თანხით 4466 ლარი.
40. მარტვილის მუნიციპალიტეტის გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში:

ა) ჯგერენაიების უბანში ელგუჯა ჯგერენაიას სახლის მიმდებარედ ხიდბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ბ) სოფელ მე-2 გურძემში მადონა ჯგერენაიას სახლის მიმდებარედ მდ. ტოხრაზე საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოები, თანხით 23 305 ლარი.

41. მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში, მათე მიქავას სახლის წინ მცოცავი გრუნტის რ/ბეტონის კედლით გამაგრების სამუშაოები, თანხით 10 088 ლარი.
42. მარტვილის მუნიციპალიტეტის ნახუნაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ქურდიანების უბანში სასაფლაოსკენ მისასვლელი გზის მოხრეშვითი და გრუნტის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, თანხით 2407 ლარი.
43. ქ. მარტვილში 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე 58 ბინიანი (ჩეხურის ბინები) კორპუსის წყალსაწრეტი და წყალმიმღები სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 1114 ლარი.
44. მარტვილის მუნიციპალიტეტი გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. მეორე ბალდაში გამა სილაგავას სახლამდე მისასვლელი დაზიანებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 22 725 ლარი.
45. მარტვილის მუნიციპალიტეტი გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულში , სოფ. I ბალდაში დაზიანებული გზის მოხრეშვითი და სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, თანხით 15 737 ლარი.
46. მარტვილის მუნიციპალიტეტის ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯღარკავების უბანში კლარა ჯღარკავას ეზოს შესასვლელში მილ-ხიდის მოწყობის სამუშაოები, თანხით 4336 ლარი.
47. მარტვილის მუნიციპალიტეტის თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯოტო ჯანაშიას სახლთან საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოები, თანხით 4 429 ლარი.
48. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაჩილაჩაოს სკოლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, თანხით 15 964 ლარი.
49. მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში 32-ე ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები, თანხით 6088 ლარი.
50. მარტვილის მუნიციპალიტეტის კურზუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ბუთხუზ ბერულავას სახლის მიმდებარედ მდინარე ოჩხომურზე გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 6976 ლარი.
51. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ საკანალიზაციო ჭების მოწყობის სამუშაოები, თანხით 4509 ლარი.
52. მარტვილის მუნიციპალიტეტის ტალერის ადმინისტრაციულ ერთეულში ლენანეს უბანში არსებული ლითონის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 41 760 ლარი.

53. ქ.მარტვილში, ქვაითის უბანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების მოხრეშვითი და გრუნტის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები, თანხით 27 503 ლარი.

**ადგილობრივი ბიუჯეტით მიმდინარე პროექტები:**

54. მარტვილის მუნიციპალიტეტი ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში (ნანა ბაჩილავას სახლიდან კანიონის მიმართულებით, გაჭედილის ხიდამდე) გარეგანათების მოწყობის სამუშაოები, თანხით 70 794 ლარი.
55. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯეგელეს უბანში არსებული სტადიონის და მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვისა და ფანჩატურის გადახურვის სამუშაოები, თანხით 16 640 ლარი.
56. მარტვილის მუნიციპალიტეტის ლეხინდრაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრის უბანში სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო და ღობის მოწყობის სამუშაოები, თანხით 2831 ლარი.
57. მარტვილის მუნიციპალიტეტი კურზუს ადმინისტრაციულ ერთეულში გოდოგანის უბანში სასაფლაოს ტერიტორიაზე ჭიშკრის მოწყობის სამუშაოები, თანხით 2777 ლარი.
58. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობის უკანა ეზოში საკანალიზაციო ჭების მოწყობის სამუშაოები, თანხით 1034 ლარი.
59. ქ. მარტვილში საელიაოს უბანში დადიანის ქუჩაზე სახნავ-სათეს ნაკვეთებზე მისასვლელი გზისა და მილხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 8659 ლარი.
60. მარტვილის მუნიციპალიტეტი ხუნწის ადმინისტრაციულ ერთეულში, ძიძიგურების უბანში გრიგოლ ძიძიგურის სახლამდე მისასვლელ გზაზე ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები, თანხით 26 690 ლარი.
61. მარტვილის მუნიციპალიტეტი ხუნწის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქვედა ხუნწში ბექა ხუნწელიას სახლამდე მისასვლელი გზის მოხრეშვისა და ცხაურის მოწყობის სამუშაოები, თანხით 4 825 ლარი.
62. მარტვილის მუნიციპალიტეტის ტალერის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საავტომობილო გზების რ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, თანხით 354 000 ლარი.
63. ქ. მარტვილში გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავის აღდგენის სამუშაოები, თანხით 12483 ლარი.

## სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები

## (მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხებით)

**სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებით დასრულებული პროექტები:**

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში, საავტომობილო ხიდის მიმდებარედ მდ. ტეხურაზე 2 დეზის მოწყობის მე-2 ეტაპის სამუშაოები, თანხით 33 955 ლარი.
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ვახაში მოსახლეობის საკარმიდამო ეზოების მიმდებარედ მდ.ვახაზე ნაპირსამაგრის გაბიონით მოწყობის სამუშაოები. (II მონაკვეთი) თანხით 116 490 ლარი.
3. ქ.მარტვილში გამსახურდიას N1-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სტიქიის შედეგად გადახდილი სახურავის აღდგენა, თანხით 49 627 ლარი.
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში, დელიზი ერქვანიას სახლთან გზის გადამკვეთი დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 35 588 ლარი.
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ.ლეცავეს სასაფლაოს მისასვლელი გზის გაბიონით გამაგრების სამუშაოები, თანხით 21 478 ლარი.
6. მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში ჟინოთას უბანი, ლეხურცილავეში ლამზირა სხულუხიას სახლთან მისასვლელ გზაზე მდ.წაჩხურუზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები, თანხით 62 736 ლარი.
7. მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში ვარლამ ქვარცხავას საკარმიდამო ნაკვეთთან მდ.წაჩხურუზე დეზის და გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 29 259 ლარი.
8. მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში, წაჩხურუს უბანში გიორგი ჯოჯუას სახლთან საავტომობილო გზის გასწვრივ დამეწყრილი ფერდობის რკ. ბეტონის საყრდენი კედლით გამაგრების სამუშაოები, თანხით 37 044 ლარი.
9. მარტვილის მუნიციპალიტეტის აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაზიკო ჭღარკავას საკარმიდამო ნაკვეთთან უსახელო ღელეზე გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 29 321 ლარი.

10. მარტვილის მუნიციპალიტეტის აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულში მერაბ ჯავახიას საკარმიდამო ნაკვეთთან უსახელო ღელეზე გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 26 027 ლარი.
11. მარტვილის მუნიციპალიტეტის აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულში ლექაჯაიეს უბანში ზაზა კიტეიშვილის სახლში შესასვლელი ხიდბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 23 960 ლარი.
12. მარტვილის მუნიციპალიტეტის აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულში ხათუნა ხურცილავას საკარმიდამო ნაკვეთთან მდ. სკურჩაზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 47 202 ლარი.
13. მარტვილის მუნიციპალიტეტის აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. აბედათში მილერი წოწონავას სახლთან არსებული საცალფეხო ხიდის სავალი ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 2990 ლარი.
14. მარტვილის მუნიციპალიტეტის კიწიის ადმინისტრაციულ ერთეულში I კიწიაში გრიგოლ გადილიას სახლთან დამეწყრილი ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 106 038 ლარი.
15. მარტვილის მუნიციპალიტეტის აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქაჯაიების უბანში არსენა ჯღარკავას საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ ლითონკონსტრუქციის ხიდთან მისასვლელ გზაზე არს. ხიდბოგირთან საყრდენი კედლისა და სანიაღვე არხის მოწყობის სამუშაოები, თანხით 7125 ლარი.
16. მარტვილის მუნიციპალიტეტის აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულში ლექაჯაიეს უბანში მერაბ ზარქუას სახლში შესასვლელი ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები, თანხით 25 305 ლარი.
17. მარტვილის მუნიციპალიტეტის სერგიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დალინა სიგუას და ელგუჯა ხარბედიას საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ მდ.ისკიაზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 20860 ლარი.
18. მუნიციპალიტეტის აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულში ლექაჯაიეს უბანში გიგლა ზარქუას სახლში შესასვლელი ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები, თანხით 25 305 ლარი.
19. მარტვილის მუნიციპალიტეტის სერგიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სულიკო მასხულიას საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ მდ. ისკიაზე ნაპირსამაგრის გაბიონით მოწყობის სამუშაოები, თანხით 16 838 ლარი.
20. მარტვილის მუნიციპალიტეტის სერგიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მამუკა დანელიას საკარმიდამო ნაკვეთთან მდ. ისკიაზე ნაპირსამაგრის გაბიონით მოწყობის სამუშაოები, თანხით 24 833 ლარი.
21. მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში, წაჩხურუს უბანში დინა ციკოლიას საკარმიდამო ეზოს მიმდებარედ უსახელო ღელეზე

მონოლითური რკ.ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, თანხით 60 159 ლარი.

22. მარტვილის მუნიციპალიტეტის გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ.I ბალდაში მინი სტადიონთან მდ. აბაშას ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები, თანხით 32 209 ლარი.
23. მარტვილის მუნიციპალიტეტის ხუნწის ადმინისტრაციულ ერთეულში ნოღელას ხიდთან საავტომობილო გზის მიმდებარედ არსებული გაბიონის გაგრძელების სამუშაოები, თანხით 60 232 ლარი.
24. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში ლევახანეს უბანში მდ. აბაშაზე გაბიონის ორი დეზის მოწყობის სამუშაოები, თანხით 66 713 ლარი.
25. მარტვილის მუნიციპალიტეტის ტალერის ადმინისტრაციულ ერთეულში (ეწერის უბანი) ჯემალ ჯიჯელავას სახლთან დამეწყრილ გზაზე გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 14 200 ლარი.
26. მარტვილის მუნიციპალიტეტის ტალერის ადმინისტრაციულ ერთეულში ბორის ჯოჯუას საკარმიდამო ნაკვეთთან ნაპირსამაგრის გაბიონით გამაგრების სამუშაოები, თანხით 21 354 ლარი.
27. მარტვილის მუნიციპალიტეტის გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. I ბალდაში ნაქუთოუს უბანში მდ. აბაშაზე ნაპირსამაგრის გაბიონით მოწყობის სამუშაოები, თანხით 46 864 ლარი.
28. მარტვილის მუნიციპალიტეტის გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულში, იური ჯამბურიას სახლთან დამეწყრილი ფერდობის გასწვრივ რკ/ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები, თანხით 28 011 ლარი.
29. მარტვილის მუნიციპალიტეტის ხუნწის ადმინისტრაციულ ერთეულში ბაღიშვილის საყანე ფართობთან გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 6062 ლარი.
30. მარტვილის მუნიციპალიტეტის ტალერის ადმინისტრაციულ ერთეულში თემურ ბიგვავას სახლთან, მდ.ტეხურაზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 20 696 ლარი.
31. მარტვილის მუნიციპალიტეტის გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში დათა ბარგატიას საკარმიდამო ნაკვეთთან მდ. გურძემიაზე 3 წყალამრიდი გაბიონის დეზის მოწყობის სამუშაოები, თანხით 16 507 ლარი.
32. მარტვილის მუნიციპალიტეტის ნახუნაოს ადმინისტრაციულ ერთეულში წინაკვერკვეს უბანში ვალოდია ინჯგიას საკარმიდამო ნაკვეთთან ნაპირსამაგრის გაბიონით მოწყობის სამუშაოები, თანხით 11 114 ლარი.
33. მარტვილის მუნიციპალიტეტის ნახუნაოს ადმინისტრაციულ ერთეულში წინაკვერკვეს უბანში ლევან სიგუას საკარმიდამო ნაკვეთთან ნაპირსამაგრის გაბიონით მოწყობის სამუშაოები, თანხით 13 840 ლარი.

34. მარტვილის მუნიციპალიტეტის ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ნაგვაზაო-ლეეციცხვაიეს დამაკავშირებელ ხიდთან მდ. ნოღელაზე არსებული გაბიონის აღდგენის სამუშაოები, თანხით 14 513 ლარი.
35. მარტვილის მუნიციპალიტეტის ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში ელგუჯა კილასონიას საკარმიდამო ნაკვეთთან ხიდ-ბოგირის მიმდებარედ არსებული გაბიონის გაგრძელების სამუშაოები, თანხით 10 999 ლარი.
36. მარტვილის მუნიციპალიტეტის ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში კუდავების უბანში, სასფლაოსთან ნაპირსამაგრის გაბიონით მოწყობის სამუშაოები, თანხით 36 992 ლარი.
37. მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაფოსტარის უბანში, ანგელინა მითაგვარიას სახლის მიმდებარედ მდ.ტეხურზე საცალფეხო ხიდის საყრდენი ბოძის გამაგრებისა და ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები, თანხით 15 578 ლარი.
38. მარტვილის მუნიციპალიტეტის ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში გურამ ძიძიგურის საკარმიდამო ნაკვეთთან ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 20 735 ლარი.
39. მარტვილის მუნიციპალიტეტის ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მავლინა წოწორიას სახლთან მდ.ინჩხიას ნაპირზე გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 14 145 ლარი.
40. მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში, მაყვალა ახვლედიანის საკარმიდამო ნაკვეთთან სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, თანხით 19 092 ლარი.
41. მარტვილის მუნიციპალიტეტის კიწიის ადმინისტრაციულ ერთეულში თამარ სიჭინავას საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ მდ. გურძემიაზე გაბიონის სამი დეზის მოწყობის სამუშაოები, თანხით 42 736 ლარი.
42. მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი ღურწკაიას მიწის ნაკვეთის მიმდებარედ მდ. ტეხურაზე გაბიონის კედლის მოწყობის სამუშაოები, თანხით 19 929 ლარი.
43. მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში სოსო ახალაიას საკარმიდამო ნაკვეთთან მდ. ტეხურაზე არს. დაზიანებული დამბის გაგრძელებაზე წყალამრიდი გაბიონის დეზის მოწყობის სამუშაოები, თანხით 29 511 ლარი.
44. მარტვილის მუნიციპალიტეტის კიწიის ადმინისტრაციულ ერთეულში დამირი სოსელიას საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ მდ. გურძემიაზე ნაპირსამაგრი გაბიონის ორი დეზის მოწყობის სამუშაოები, თანხით 17 697 ლარი.

45. მარტვილის მუნიციპალიტეტის ნაჯახაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ნოღელაზე წისქვილთან მისასვლელი საცალფეხო ხიდის სარეაბილიტაციო და გაბიონის მოწყობის სამუშაოები , თანხით 53 180 ლარი.
46. მარტვილის მუნიციპალიტეტის კურზუს ადმინისტრაციულ ერთეულში (დობერაზენის უბანი) მდ.ტეხურაზე საცალფეხო ხიდის მიმდებარედ ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 17 698 ლარი.
47. ქ. მარტვილში 9 აპრილის ქუჩაზე ავთო გაბისონიას სახლის გვერდზე, უსახელო ღელეზე დამეწყრილი ფერდობის რ/ბეტონის კედლით გამაგრების სამუშაოები , თანხით 39 965 ლარი.
48. ქ. მარტვილში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდ.ინჩხიაზე საავტომობილო ხიდის ბურჯის გაბიონით გამაგრების სამუშაოები , თანხით 43 613 ლარი.
49. მარტვილის მუნიციპალიტეტის ხუნწის ადმინისტრაციულ ერთეულში ლეციცხვაიეს უბანი მერაბ დანელიას სახლთან მდ. ნოღელაზე ნაპირსამაგრის გაბიონით მოწყობის სამუშაოები , თანხით 9 936 ლარი.
50. მარტვილის მუნიციპალიტეტის ხუნწის ადმინისტრაციულ ერთეულში გოგაიების უბანში მდ. ნოღელაზე ნაპირსამაგრის გაბიონით მოწყობის სამუშაოები, თანხით 22 655 ლარი.

**სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებით მიმდინარე პროექტები:**

1. აბედათის ადმინისტრაციული ერთეულის, ჯოლევის უბანში ხიდის მოწყობის სამუშაოები, თანხით 1 499 200 ლარი.
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლექაჯაიეს უბანში ციხესიმაგრემდე მისასვლელი გზის მიმდებარედ დამეწყრილი ფერდობის რკ/ბეტონის კედლით გამაგრების სამუშაოები, თანხით 101 574 ლარი.
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის ქ.მარტვილში 9 აპრილისა და ხუნწის დამაკავშირებელი დამეწყრილი გზის სარეაბილიტაციო და გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 128 974 ლარი.
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში თარგამეულის უბანში მდ.ტეხურაზე ლითონის კონსტრუქციის ხიდის მიმდებარედ ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 53 563 ლარი.
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის კურზუს ადმინისტრაციულ ერთეულში ფონიავების უბანში მდ.ატამასხევზე არსებული ლითონის კონსტრუქციის ხიდის ბურჯის გაბიონით გამაგრების სამუშაოები, თანხით 12 583 ლარი.
6. გაჭედილის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პატარა თამაკონში, ჯამბურიების უბანში დამეწყრილი გზის სარეაბილიტაციო, თანხით 152 279 ლარი.

7. დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში, მირცა ფაცაციას სახლის უკან მდ.ტეხურაზე საცალფეხო ხიდის მიმდებარედ 2 დეზის და გაბიონის მოწყობის, ასევე მდინარის კალაპოტის გაჭრის სამუშაოები, თანხით 92 683 ლარი.

**2024 წელს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის " ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 990 000 ლარის ოდენობით.**

კანონის შესაბამისად, მოსახლეობასთან კონსულტაციით (სოფლის კრებების გადაწყვეტილებით), სპეციალისტების რეკომენდაციების გათვალისწინებით შეირჩა 96 პროექტი, და 1 მინი ჰესისთვის კაბელის და 500 მარკიანი ცემენტის შეძენა, რომელიც ხორციელდება 20 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 74 სოფელში.

დღეის მდგომარეობით დასრულებულია 28 პროექტი თანხით 220 659 ლარი, მიმდინარეობს 41 პროექტზე სამშენებლო სამუშაოები, ხოლო 27 პროექტზე მოხდა თანადაფინასება 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რომლის განხორციელებაც დაიწყება უახლოეს დღეებში.

2024 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი სახის სამუშაოები: ნაპირსამაგრის მოწყობა, ცხაურების მოწყობა, სკვერების მოწყობა, გარე-განათების მოწყობა, ხიდ-ბოგირების და ხიდების მოწნობა, წყალშემკრები ნაგებობების მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, გზების მოხრეშვა-დაგრეიდერება, გასართობი ცენტრის მოწყობა და ა.შ

2024 წლის 5-6 თებერვლის სტიქიის(ძლიერი ქარის) შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის N270 განკარგულების შესაბამისად მუნიციპალიტეტს გამოეყო 88 000 ლარი და მოსახლეობამ კომპენსაციის სახით მიიღო დახმარება; ამავე სტიქიამ დააზიანა ქ.მარტვილში, გამსახურდიას ქუჩა N1–ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავი; ზიანის აღმოსაფხვრელად საქართველოს მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტს გამოეყო 43182 ლარი და საცხოვრებელი კორპუსის სახურავი სრულად იქნა რეაბილიტირებული;

მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ჩვენი სამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საცხოვრებელი სახლის, საცხოვრებელი ტიპის კოტეჯების, კომერციული დანიშნულების თუ სხვადასხვა სახის

ობიექტებზე გაიცა მშენებლობის ნებართვა/თანხმობა. მოსახლეობას გაეწია კვალიფიციური რეკომენდაციები სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში.

მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, მერიის ბალანსზე რიცხული ტექნიკით შესრულდა წყალსაწრეტი არხების, ტერიტორიის მოწესრიგებისა და სამშენებლო ნაგავის გატანის სამუშაოები.

სამსახური თანამშრომლობდა, კოორდინაციას და კონტროლს უწევდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სამშენებლო სამუშაოების შესრულებას შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად.

**ზედამხედველობა**

საანგარიშო პერიოდში მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვების საფუძველზე სედამხედველობის სამსახურმა მოახდინა 24 (ოცდაოთხი) დასრულებული შენობა-ნაგებობის მიღება. მოხდა შესაბამისად 24 (ოცდაოთხი) შენობა-ნაგებობების მშენებლობის დასრულების აქტის შედგენა.

გამოვლენილი იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის 9 (ცხრა) ფაქტი. აქედან 5 (ხუთი) ფაქტი უნებართვო მშენებლობა, ხოლო 4 (ოთხი) ფაქტი სანებართვო პირობების დარღვევა. ყველა დარღვევაზე გატარებული იქნა კანონით გათვალისწინებული სანქციები.

საანგარიშო პერიოდში მოხდა გარე ვაჭრობის, ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათი არსებული წესით შესაბაბისობაში მოყვანაზე კონტროლი. გამოვლინდა გარე ვაჭრობის დარღვევის 20 (ოცი) ფაქტი.

საანგარიშო პერიოდში მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტურიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებების ორგანიზაციების, იურდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლი. ამ მხრივ დარღვევის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

საანგარიშო პერიოდში მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო, სარემონტო და საავარიო საქმიანობის წარმოების წესების დაცვაზე, მუნიციპალიტეტის დაზიანებული ქუჩებისა და მაგისტრალების მოწესრიგების ღონისძიებათა დროულ და ხარისხიან შესრულებაზე კონტროლის დაწესება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ფასადების, გზის საფარის, გარეგანათების, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, ჯიხურების, კომუნიკაციების და სხვა ელემენტების ტექნიკურ-ესთეთიკურ მდგომარეობაზე კონტროლი. ამ მხრივ დაფიქსირდა დარღვევა ვიტრინებისა და ჯიხურების ტექნიკურ-ესტეტიკური მდგომარეობის 20 (ოცი) ფაქტი.

უსახური ამორტიზირებული ჯიხურების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდრბის, დაფების, აბრების, აფიშების, პლაკატებისა და და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა, მათი აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება. ამ მხრივ დაფიქსირდა უსახური ამორტიზირებული ჯიხურების 42 (ორმოცდაორი) რაოდენობა აქედადან 36 (ოცდათექვსმეტი) აღებული იქნა დარჩენილია 6 (ექვსი). დაფიქსირდა დარღვევა ვიტრინებისა და ჯიხურების ტექნიკურ ესტეტიკური მდგომარეობის 20 (ოცი) შემთხვევა.

მოსახლეობის ჯამრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად ხმაურის ინსოლაციის და დასუფთავების განმსაზღვრელი სანიტარული ნორმების დაცვაზე კონტროლი. ამ მიმართულებით დარღვევები არ გამოვლინებულა.

მიწათმოსარგებლეთა მიერ მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე ზედამხედველობა, მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავების და/ან მიწათმოსარგებლის უფლების გარეშე მიწათსარგებლობის ფაქტების გამოვლენა. ამ მხრივ დაფიქსირდა მიწის ნაკვეთის უნებართვო დაკავების 2 (ორი) შემთხვევა.

განხორციელდა კონტროლი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულებაზე. ამ მხრივ დარღვევები არ გამოვლენილა.

განხორციელდა მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლი და ზედამხედველობა, საპროექტო-სასახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება. ფარული სამუშაობის შესრულებაზე დაკვირვება და შესაბამისი აქტის დამოწმება. ამ მიმართულებით დარღვევა არ დაფიქსირებულა.

## ეკონომიკური განვითარება და ქონების მართვა

ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახური თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში

არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციას. წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, ეკონომიკური განვითარების მიზნით ინვესტიციების დაგეგმვას, ინვესტორებთან თანამშრომლობას შესაბამისი საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების მომზადების საკითხებზე; წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის საკითხებზე; ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახური დიდ ყურადღებას უთმობს მუნიციპალური ქონების დაცვას, მოვლა-პატრონობას, მართლზომიერ სარგებლობასა და განკარგვას.

სამსახურის მიერ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გაგზავნილიქნა მიმართვები, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების, მარტვილის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადმოცემის შესახებ. ( გაგზავნილია 52 წერილი) მათგან უმრავლესობა გადმოცემულ იქნა მუნიციპალიტეტისთვის ხოლო გარკვეული ნაკვეთების გადმოცემის მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, ზოგიერთ მათგანზე მიმდინარეობს შესაბამისი წარმოება.

სამსახურში მიმდინარეობს პროცესი, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის N 233 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის სახელზე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირებასთან დაკავშირებით.

სამსახურის მიერ ხორციელდებოდა და კვლავ გრძელდება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ტროტუარების, სკვერების, სასაფლაოების, საფეხბურთო მოედნების, გაზონისა და მოსაცდელების, მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის პროცესი.

საანგარიშო პეიროდში მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონზე პრივატიზებულ იქნა ერთი ერთეული უძრავი ქონება, რომლის პრივატიზებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1150 ლარი.

აუქციონზე პრივატიზებულ იქნა ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი სატრანსპორტო საშუალება და ერთი სპეც ტექნიკა, საიდანაც შემოსავლის სახით მიღებულია 11600 ლარი.

იჯარით გაცემულ იქნა ერთი უძრავი ქონება, რომლის იჯარიდან მისაღები თანხა ყოველწლიურად შეადგენს 10600 ლარს

მიმდინარე წელს უზუფრუქტის ხელშეკრულებით მუნიციპალური ქონება გადაეცათ:

1. ა.ი.პ მარტვილის მუნიციპალიტეტის,,კეთილმოწყობის ცენტრს'' მეთვალყურეობისა და მოვლა პატრონობის მიზნთ გადაეცა მარტვილის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სალხინო-ტალერი-დიდიჭყონის წყალმომარაგების სისტემების ობიექტები

2. ს.ს.ი.პ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ თამაკონის საჯარო სკოლას გადაეცა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ: 41.16.33.458 სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, წლის მარაგის შესავსებად, ელექტრო ენერგიის მრიცხველის დამონტაჟებისა და წყლის შემკრების ავზის განთავსების მიზნით

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უზუფრუქტის წესით გადაეცა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ: 41.15.41.276 ნაკვეთზე განთავსებული N 02/2 ნაგებობიდან, პირველ სართულზე 39.63 კვ.მ და მეორე სართულზე არსებული 59.59 კვ.მ. (სულ - 99.22 კვ.მ) ფართი

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უზუფრუქტის წესით გადაეცა სოფ ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ: 41.04.35.565 ნაკვეთზე განთავსებული N 01/2 ნაგებობიდან პირველ სართულზე განთავსებული 95.25 კვ.მ ფართი

5. ს.ს.ი.პ „იურიდიული დახმარების სამსახურს უზუფრუქტის წესით გადაეცა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ N 10-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული ერთი ოთახი ფართით 15 კვ.მ

2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ – ,,სოფლის ექიმის'' კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებლად 2022 წლის 1 მარტიდან განისაზღვრა ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“2022. აღნიშნულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს პროცესი სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში იმ ქონების გადაცემასთან დაკავშირებით, სადაც უნდა აშენდეს ახალი ამბულატორიები. ასევე ხორციელდება ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იმ ქონებების უსასყიდლო ( უზუფრუქტის წესით გადაცემას) რომლებშიც განთავსებულია და ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები.

ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახური აქტიურად არის ჩართული წინადადებების მომზადების, მუნიციპალური ქონებით სარგებლობისა და განკარგვის საკითხებზე. ამასთან ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ

ბიუროში გადაგზავნილია წერილები , მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებების პრივატიზების მიზნით საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მოთხოვნის თაობაზე.

აგრეთვე სამსახური დელეგირების საფუძველზე ახორციელებს, მუნიციპალიტეიტის ტერიტორიაზე არსებული კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მივმართეთ თხოვნით დაგვეხმაროს მარტვილის მუნიციპალიტეტში დასახლებებში პოპულაციის აღდგენისათვის 250-300 ფრთა კოლხური ხოხობის სანაშენე ფრინველით.

პროექტი „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა - ECO.Georgia" (ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბურის აირების ემისიების შემცირებისთვის) შემუშავდა საქართველოში სატყეო სექტორის მხარდაჭერის, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მიმდინარე სატყეო რეფორმის განხორციელებაში წვლილის შეტანის მიზნით. აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია ტყის აღდგენის, ტყის კარგვის შემცირების, ტყის მდგრადი მართვისა და კონსერვაციისთვის, რომელიც ხელს უწყობს ტყის ნახშირბადის მარაგების გაზრდას, ასევე ეხმარება ენერგოეფექტური და ალტერნატიული საწვავი საშუალებებისთვის ბაზრის განვითარებას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდას ტყის მდგრად მართვაში. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურების მართვის განყოფილება მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის უწყებებთან.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში მტაცებელი ცხოველების თავდასხმის შესახებ, მოსახლეობის მხრიდან მომართვიანობა ხშირია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 13 ოქტომბრის #2-785 ბრძანების შესაბამისად, გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულაციის წესების დაცვით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის #574 დადგენილების საფუძველზე, ხდება ბუნებიდან მგლისა და ტურის ინდივიდის ამოღება. ბოლო 8 თვის განმავლობაში დაახლოებით შემოსულია 21 წერილი და ჩატარებულია კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. გაყვანილია და აცრილია 91 მიუსაფარი ძაღლი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარტვილის სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურების მართვის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად, მარტვილის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში ჩატარდა წიწვოვანი ჯიშის ხის დაავადების და სალხინოს ღვთისმშობლის შობის სახ. მამათა მონასტრის ტერიტორიაზე არსებული ბზის ნარგავების დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურების მართვის განყოფილება, სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, აქტიურად არიან ჩართულები სასოფლო-სამეურნეო და შინაური ბინადარი ცხოველების პროფილაქტიკური ვაქცინაციები, კვლევები (ლაბორატორიული და საველე) და ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროცესში. მარტვილის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტარციულ ერთეულში დადასტურდა ჭილეხისა და ცოფის დაავადება, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის მიწოდებული იქნა იმ პირების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც ახორციელებენ თხილის გულის წარმოებას.

სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება ,,ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ’’ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 იანვრის #158 განკარგულების შესაბამისად ატარებდა ადმ. ერთეულებში წამლობის ღონისძიებებს.

სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურების მართვის განყოფილების თანამშრომლებმა შექმნეს ერთიანი ბაზა 2017-2023 წლების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესახებ.

## ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური 2024 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესით (მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N19 2023 წლის 24 ნოემბერი) და საჯარო სამსახურის შესახებ კანონით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემასთან დაკავშირებით მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია კომისია ((მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N996 2017წლის 14 დეკემბერი (ცვლილება ბრძანებაში-ბრძანება N46 11აპრილი 2019წ)), რომელიც ხელმძღვანელობს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის

ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესით. აღნიშნული წესი განსაზღვრავს მარტვილის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ან/და ფაქტობრივად მცხოვრები) მოსახლეობისათვის მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან (შემდეგში – ბიუჯეტი) სოციალური დახმარების სახეებს, დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, დახმარების გაცემის კრიტერიუმებს, პირობებსა და პროცედურებს, დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას და დახმარების მისაღებად ბენეფიციართა მიერ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხას.

2024 წელის 10 თვის მდგომარეობით ჩატარდა კომისიის 19 სხდომა. წარმოგიდგენთ სოციალურ პროგრამების შესაბამისად ბიუჯეტით გაწეულ ხარჯებს და ბენეფიციართა რაოდენობას:

ა) მოსახლეობის სამედიცინო დახმარება: 599 949 ლარი გაიხარჯა 1 058 ბენეფიციარზე.

ბ) ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება: 70700 ლარი გაიხარჯა 202 ახალშობილზე.

გ) მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება:

1) პირველი ჯგუფის უსინათლოთა ერთჯერადი დახმარება: 23500 ლარი გაიხარჯა 47 ბენეფიციარზე;

2) ჩერნობილის ავარიის შედეგად დაზარალებული პენსიონრების ერთჯერადი დახმარება: 4200 ლარი გაიხარჯა 14 ბენეფიციარზე.

3) დიალიზზე მყოფი მოქალაქეების დიალიზის ცენტრში ტრანსპორტირების დაფინანსება : 62250 ლარი გაიხარჯა 30 ბენეფიციარზე(ამ ეტაპისთვის დარჩენილია 26 ბენეფიციარი);

4) შშმ (მკვეთრად გამოხატული, საწოლს/ეტლს მიჯაჭვული) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება : 35000 ლარი გაიხარჯა 35 ბენეფიციარზე.

5) შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა- მომართვიანობა არ ყოფილა;

6) სტუდენტების ერთჯერადი დახმარება : 39082 ლარი გაიხარჯა 42 სტუდენტზე.

7) უსახლკაროთა ბინის ქირის თანხით უზრუნველყოფა: 14357 ლარი გაიხარჯა 10 უსახლკარო პირზე/ოჯახზე;

8) უკიდურესად ცუდ ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება: 97400 ლარი გაიხარჯა 487 ბენეფიციარზე.

9) რეინტეგრაციის ხელშეწყობა - მომართვიანობა არ ყოფილა;

10) ძალადობის,ტრეფიკინგის მსხვრეპლ პირთა მხარდაჭერა : 2000 ლარი გაიხარჯა 2 ბენეფიციარზე.

11) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის ერთჯერადი ფულადი დახმარება: 51500 ლარი გაიხარჯა 103 ბენეფიციარზე.

12) შშმ (დაუნის სინდრომი) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება: 3000 ლარი გაიხარჯა 6 ბენეფიციარზე.

დ) 100 წლისა და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა ერთჯერადი დახმარება: 2000 ლარი გაიხარჯა 1 ბენეფიციარზე.

ე) ხანძრით, მიწისძვრით და სხვა ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება: 159660 ლარი გაიხარჯა 135 ბენეფიციარზე.

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვთა ერთჯერადი დახმარება: 60000 ლარი გაიხარჯა 120 ბავშვზე.

ზ) ომის მონაწილეთა, დევნილთა და მარტოხელების სარიტუალო დახმარება: 6500 ლარი გაიხარჯა 13 ბენეფიციარზე.

თ) ობოლი ბავშვების ერთჯერადი დახმარება: 105500 ლარი გაიხარჯა 210 ბავშვზე.

ი) მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი დახმარება: 46200 ლარი გაიხარჯა 154 ბენეფიციარზე.

კ) ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, 9 აპრილის და აგვისტოს მოვლენებში დაზარალებულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება): 10400 ლარი გაიხარჯა 21 ბენეფიციარზე.

ამგვარად, 2024 წელს, ოქტომბრის მდგომარეობით, სოციალური დახმარების კუთხით 2690 ბენეფიციარზე გაიხარჯა 1 393 198 ლარი.

გარდა ამისა შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურთან 2021 წლიდან მოქმედებს „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისია. კომისიის რეკომენდაციით 2024 წლის მდგომარეობით საცხოვრისში ცხოვრობს 8 უსახლკარო პირი/ოჯახი.

## კულტურა

2024 წელი კულტურული და შემოქმედებითი თვალსაზრისით ნაყოფიერი და წარმატებული იყო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახურისათვის. მომზადდა და განხორციელდა არაერთი მუნიციპალური პროგრამა, რომელშიც ჩართული იყო მარტვილელი მოსწავლე–ახალგაზრდობა.

ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით მოეწყო სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, პოეზიის საღამოები, ფერწერული და ხელნაკეთი ნივთების გამოფენები.

2024 წლის 7 იანვარს მარტვილის მუნიციპალიტეტში, ქრისტეს შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საშობაო ალილოს მსვლელობა მოეწყო. ტრადიციული ალილოს მსვლელობა საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრიდან დაიწყო, რომელშიც ჭყონდიდელი მიტროპოლიტი მეუფე სტეფანე, სტიქაროსნები, სასულიერო პირები და მრევლი მონაწილეობდა. შემოწირული ტკბილეული და სხვა საჩუქრები სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადაეცემა.

8 იანვარს მარტვილის მუნიციპალიტეტში, დადიანების სასახლის ეზოში, შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა. დამსწრე საზოგადოების წინაშე მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული თოჯინების თეატრი წარსდგა სპექტაკლით „უჩვეულო შეჯიბრი“. პატარების განწყობაზე ახალციხის თოჯინების სახელმწიფო

თეატრის მსახიობებმა იზრუნეს. ღონისძიება გათვლილი იყო ყველა ასაკის მაყურებლისთვის, თუმცა განსაკუთრებით პატარებმა იმხიარულეს. ღონისძიების ბოლოს თოვლის ბაბუა პატარებს ტკბილეულით გაუმასპინძლდა. ღონისძიება ჭყონდიდელი მიტროპოლიტის მეუფე სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ინიციატივით და ორგანიზებით გაიმართა.

15 იანვარს მარტვილის მუნიციპალიტეტში ახალი წლის დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები საზეიმო კონცერტით დასრულდა. ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივითა და მხარდაჭერით მარტვილელებისათვის მირზა მოდებაძემ, ელენე ფოჩხუამ და ლაშა რამიშვილმა ბენდთან ერთად იმღერა.

29 იანვარს მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ფოტოკონკურსი – „ჩემი თვალით დანახული მარტვილი“ . კონკურსში მონაწილეობა მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს. მონაწილეების მიერ გადაღებული ფოტოები შესაბამისმა ჟიურიმ გადაარჩია და გამარჯვებულები ხმათა უმრავლესობით გამოავლინა. კონკურსში მონაწილეობა 29 მოსწავლემ მიიღო. გამარჯვებულები 200 ლარიანი „ბიბლუსის“ ვაუჩერით, ხოლო მონაწილეები სიგელებით დაჯილდოვდნენ.

5 თებერვალს მარტვილის მუნიციპალიტეტის ნაჯახაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ვენერა დანელიას 101 წელი შეუსრულდა. ვენერა დანელია 1923 წელს დაიბადა, მას 4 შვილი, 9 შვილიშვილი, 7 შვილთაშვილი და 3 შვილთაშვილის შვილი ჰყავს. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიამ „100 წელს გადაცილებული მოქალაქეების დახმარების პროგრამის ფარგლებში“ იუბილარს 2000 ლარი ჩაურიცხა.

5 მარტს მარტვილის მუნიციპალიტეტის, ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში, მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის მეუფე სტეფანეს ლოცვა-კურთხევით, ქალთა დღესასწაულეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, სადაც საქართველოსათვის თავდადებული გმირების დედებს მადლობის სიგელები და თაიგულები გადასცათ.

7 მარტს ქალაქ მარტვილის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება თემით ,,მსოფლიოს წარჩინებული ქალები“. სკოლის მოსწავლეებმა, იმ წარმატებულ ქალბატონებზე ისაუბრეს, რომლებმაც საკუთარი განვლილი ცხოვრებით მსოფლიოს დაამახსოვრეს თავი.

21 მარტს დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე აღინიშნა. 26 მარტს მარტვილის მუნიციპალიტეტის თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ლიდა ფაცაციას იუბილე მივულოცეთ. იუბილარს 100 წელი შეუსრულდა. ლიდა ფაცაცია 1924 წელს დაიბადა, მას 4 შვილი, 11 შვილიშვილი, 15 შვილთაშვილი და 1 შვილთაშვილის შვილი ჰყავს. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის „100 წელს გადაცილებული მოქალაქეების დახმარების პროგრამის ფარგლებში" იუბილარს 2000 ლარი ჩაერიცხა.

28 მარტს მარტვილის მუნიციპალიტეტში, ღია ცისქვეშ, კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის მუნიციპალური ანსამბლ "მარტვილის" სოლო კონცერტი გაიმართა. მუნიციპალალური ანსამბლი ორი წლის წინ დაარსდა. „მარტვილი" მაყურებლის წინაში მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებით წარსდგა.

29 მარტს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის წმ. ამბროსი აღმსარებლის სახელობის საგანმანათლებლო ცენტრის დარბაზში, წმინდა ამბროსი აღმსარებლის გარდაცვალბის 97 წლისთავთან დაკავშირებით, ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე ისაუბრეს წმინდა ამბროსი აღმსარებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. სკოლის მოსწავლეებმა შესარულეს მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები.

31 მარტს მარტვილში ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე და რეფერენდუმის გამოცხადების დღე აღინიშნა. მარტვილის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და საჯარო მოხელეებმა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ბიუსტები გვირგვინებით შეამკეს და მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული მხატვრული წრის მოსწავლეების ლიტერატურული კომპოზიცია მოისმინეს.

2 აპრილს მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის თემა „პროფესიული განვითარების ეტაპები და თანამედროვეობა" იყო. სკოლის მოსწავლეებმა თემის ირგვლივ თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს, ასევე ისაუბრეს პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით.ღონისძიება პედაგოგების მამუკა თვალაძის, ნუნუ გეგეჭკორის და თამარ თოფურიას ორგანიზებით გაიმართა.

6 აპრილს, სპორტის საერთაშორისო დღეს, მარტვილის მუნიციპალიტეტი შეუერთდა ინიციატივას, რომელიც მსოფლიოში სპორტის საშუალებით მშვიდობის

დამკვიდრებისა და განვითარებისკენაა მიმართული. ამ დღესთან დაკავშირებით მარტვილის მუნიციპალიტეტის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში და საფეხბურთო სკოლაში საჩვენებელი სპორტული აქტივობები ჩატარდა სპორტის სახეობებში: ტაეკვანდო, კიკბოქსინგი, უშუ, კრივი, ჭიდაობა, კალათბურთი, რაგბი, გარბენი, ჭადრაკი, მხატვრული ტანვარჯიში და ფეხბურთი. მონაწილეებმა სპორტულ აქტივობებთან ერთად, ეს დღე, ასევე აღნიშნეს თეთრი ბარათებით.

9 აპრილის ტრაგედიიდან 35 წელი გავიდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას, გვირგვინით შეამკეს 9 აპრილის მემორიალი, საქართველოს ეროვნული გმირების – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ბიუსტები და აზა ადამიას საფლავი. მარტვილის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არსებული გიორგი ჭყონდიდელის სახელობის საგანმანათლებლო წრის ახალგაზრდებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია და პატივი მიაგეს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნას.

11 აპრილს მარტვილის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ,,ეტალონი“-ს გუნდური ჩემპიონატი ჩატარდა. შეჯიბრებაში მუნიციპალიტეტის სკოლების მე-6 და მე-7 კლასელებისგან დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობდნენ. „ეტალონი გუნდის“ წოდებისათვის ერთმანეთს 31 გუნდი და 155 მოსწავლე შეეჯიბრა. მოსწავლეებმა საკუთარი შესაძლებლობები და ცოდნა გამოავლინეს. 2024 წლის „მარტვილის ეტალონი გუნდის" წოდება სალხინოს საჯარო სკოლის გუნდმა მოიპოვა. მეორე ადგილზე გაჭედილის საჯარო სკოლა გავიდა, ხოლო მესამე ადგილი ინჩხურის საჯარო სკოლამ დაიკავა. ღონისძიების მსვლელობისას, სპეციალური დიპლომებით izrune.ge-ში ჩართული წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ.

14 აპრილს მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარებს ცენტრის ორგანიზებით, ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში, დედაენის დღე აღინიშნა. ღონისძიებაში კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული მხატვრული წრის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მონაწილეებმა ლიტერატურული და მხატვრული კომპოზიციები წარმოადგინეს. შესრულდა მუსიკალური ნომერი.

18 აპრილს მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, რესურსცენტრის ინიციატივით და ორგანიზებით, სპეციალური მასწავლებლებისთვის რაიონული კონფერენცია გაიმართა თემაზე „ინკლუზიური მიმართულებით მოსწავლეებთან მუშაობა საინტერესო გამოცდილებაა“. კონფერენციაზე მასწავლებლებმა თემასთან დაკავშირებით პრეზენტაციები წარმოადგინეს და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს. კონფერენციის ბოლოს მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

26 აპრილს მარტვილის მუნიციპალიტეტის ლეხაინდრაოს საჯარო სკოლაში სპორტული ღონისძიება გაიმართა. ექვსი საჯარო სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდები ერთმანეთს კალათბურთში დაუპირისპირდნენ. შეჯიბრებაში გამარჯვება ლეხაინდრაოს საჯარო სკოლის გუნდებმა მოიპოვეს, ხოლო მეორე ადგილი გოგონებში ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლის გუნდმა, ბიჭებში აბედათის საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა. გამარჯვებულ გუნდებს თასები გადაეცათ. გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები. ყველა მონაწილე გუნდი სერთიფიკატებით დაჯილდოვდა. ასევე დაჯილდოვდა საუკეთესო გუნდის სპორტის პედაგოგი ვალერი დანელია.

9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღინისნა მარტვილის მუნიციპალიტეტში. ხოლო 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის და მშობლების პატივისცემის დღესთან დაკავშირებით, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისაა და რეგიონებში პარაკლისი და საზეიმო მსვლელობა გაიმართა. მარტვილის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა ამ დღის აღნიშვნას. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მრევლი ოჯახის წევრებთან ერთად წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ტაძარში წირვას დაესწრნენ, სადაც აღესრულა ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი. შემდეგ კი სასულიერო პირების წინამძღოლობით მოეწყო საზეიმო მსვლელობა გიორგი ჭყონდიდელის ძეგლისკენ, სადაც სასულიერო პირებმა და მუნიციპალიტეტის მერმა მრევლს სიტყვით მიმართეს, მიულოცეს და ოჯახის სიწმინდის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

18 მაისს საქართველოში ეროვნული სამოსის დღე აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით მარტვილის მუნიციპალიტეტში ეროვნული სამოსით მსვლელობა მოეწყო, რომელშიც ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრები მონაწილეობდნენ.

19 მაისს მარტვილის მუნიციპალიტეტში, მე-6 ფოლკლორული ფესტივალი „ჭყონდიდი“ გაიმართა. ფესტივალი მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით გაიმართა. ხოლო ორგანიზება მერიის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრმა გაუწია. ღონისძიება ღია ცის ქვეშ მოეწყო და ახალგაზრდა მოცეკვავის გიორგი წივწივაძის ხსოვნას მიეძღვნა.ფესტივალში ადგილობრივ ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად, მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები. მონაწილეები მაყურებლის წინაშე სხვდასხვა ნომრებით წარსდგნენ. ფესტივალის ბოლოს ყველა მონაწილე ფოლკლორული ანსამბლი დაჯილდოვდა.

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მარტვილის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის საზეიმო და შემეცნებითი ღონისძიება გაიმართა. დილიდან მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ბიუსტები, ასევე ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მდებარე, დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს. დღის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა სპორტული და კულტურული აქტივობები. ქალაქის ცენტრში მოწყო ადგილობრივი მეწარმეების ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა. დამთვალიერებელს შესაძლებლობა ქონდა მოენახულებინა ეთნოგრაფიული კუთხე. საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე გაიმართა მოზარდ სპორტსმენთა ფესტივალი, რომელშიც მონაწილე ბავშვები დაჯილდოვდნენ სიგელებით. დღის ბოლოს გაიმართა საზეიმო კონცერტი მარტვილის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით, 17:10 საათზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიული დრო საზეიმოდ აღინიშნა და შესრულდა სახელმწიფო ჰიმნი.

31 მაისს, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტრუფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში, მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული თოჯინების თეატრის მსახიობის მათე სოსელიას ორგანიზებით და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მხატვრული კითხვის კონკურსი – “ჩვენ გვიყვარს მხარტვრული კითხვა” ფინარული ეტაპი გაიმართა. კონკურსის ფინალურ ეტაპზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 16 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას და მათგან სამი გამარჯვებული გამოვლინდა. კონკურსის ყველა მონაწილეს სიგელები გადაეცათ, გამარჯვებულები კი წიგნებით დაჯილდოვდნენ.

31 მაისი პოლიციელის დღე აღინიშნა. 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა .ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შემავალ № 2 საბავშვო ბაღში სხვადასხვა სახის აქტივობები გაიმართა. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა შემეცნებითი, მუსიკალური და სპორტული აქტივობები წარმოადგინეს. ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში, კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული სახვითი ხელოვნების წრის მოსწავლეების ნახატების გამოფენა გაიმართა (პედაგოგი ირაკლი სურმავა).

7 ივნისს მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ნაქარგების გამოფენას უმასპინძლა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ლენტებით ქარგვა, ჯვარედინი ქარგვა, მხატვრული ქარგვა, საავტორო თოჯინები, სამოსი და სხვა ხელნაკეთი ნივთები. ნამუშევრების გამოფენა ა(ა)იპ "საქართველოს მქარგველების და ხელმარჯვეების" ორგანიზებით და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით გაიმართა.

8 ივნისს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში ფეინთბოლის ჩემპიონატი გაიმართა. ჩემპიონატში 9 გუნდი მონაწილეობდა. რომელთა შორის პირველი და მეორე ადგილი ხუნწის გუნდებმა მოიპოვეს, ხოლო მესამე ადგილი ნაჯახაოს გუნდმა დაიკავა. გამარჯვებული გუნდები თასებით დაჯილდოვდნენ. ჩემპიონატი, საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებითა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.

9 ივნისს მარტვილის მუნიციპალიტეტის ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლმა ლიტერატურულ კონკურს-ფესტივალ „ქუჯი"-ს ფინალს უმასპინძლა. კონკურსი სამ ნომინაციაში ჩატარდა. ჟიურიმ ათი ფინალისტი შეარჩია. კონკურსში გამოვლინდა გამარჯვებულები. საუკეთესო ლექსის ნომინაციაში პირველი ადგილი დაიკავა როინ აბუსელიძემ, მეორე ადგილი მირანდა ერისთავმა და მესამე ნანა ტრაპაიძემ. ასევე დასახელდნენ გამარჯვებულები "წლის საუკეთესო პოეტური დებიუტი" და "წლის საუკეთესო პოეტური კრებული"-ს ნომინაციებში.

11 ივნისს მარტვილის მუნიციპალიტეტში, დიდი ჭყონის ბერმუხას სტადიონმა საფეხბურთო ფესტივალ „ბერმუხა“-ს ფინალს უმასპინძლა. ფესტივალის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის საფეხბურთო გათამაშება გაიმართა, რომლის ფინალური თამაშები ტრადიციულად დიდი ჭყონის „ბერმუხა"-ს სტადიონზე მოეწყო. გამარჯვებული გუნდები თასებით და მედლებით დაჯილდოვდნენ. ასევე დასახელდნენ ნომინაციაში გამარჯვებულები.

11 ივნისს მარტვილის მუნიციპალიტეტის ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში, ატელიე „კალთა“-ს ორგანიზებით ღონისძიება გაიმართა. თბილისის „თეატრი № 1“-ის მსახიობებმა წარმოადგინეს სპექტაკლი „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“. ღონისძიება მუსიკაური ნომრებით გააფორმეს, მარკუს მეტრეველმა, მანანა თოდაძემ, გიორგი შავლაშვილმა, ქეთი წიკლაურმა და ანსამბლმა „ჭყონდიდმა“. საღამო ეროვნული სამოსის ჩვენებით დაიხურა, რომელიც ატელიე „კალთა“-ს დამფუძნებელმა და დიზაინერმა სოფო კალანდიამ შექმნა.

14 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით მოეწყო საფეხბურთო მატჩების საერთო-სახალხო ჩვენება ღია ცის ქვეშ, დიდ ეკრანზე. მარტვილის მუნიციპალიტეტში, ცენტრალურ პარკში, საგულშემატკივროდ სივრცე მოეწყო. ფეხბურთის მოყვარულებს შესაძლებლობა ჰქონდათ დიდ ეკრანზე თვალი ედევნებინათ ევროპის ჩემპიონატის ყველა საფეხბურთო მატჩზე.

20 ივნისს მარტვილის მუნიციპალიტეტის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში საანგარიშო კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები. მონაწილეები მაყურებლის წინაშე საესტრადო, ხალხური და კლასიკური ნაწარმოებებით წარსდგნენ.

24 ივნისს ჭყონდიდის ეპარქიის ორგანიზებით, მარტვილის მუნიციპალიტეტში დღესასწაული ,,მარტვილიობა,, აღინიშნა. ღონისძიებაში ადგილობრივ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობა ლენტეხის, ცაგერისა და აბაშის ჯგუფებმა მიიღეს. შესრულდა სხვადასხვა სახის მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები.

3 ივლისს მარტვილის მუნიციპალიტეტმა, ფეხბურთში, მოყვარულთა ლიგის მუნიციპალურ თამაშებს უმასპინძლა. ტურნირში მონაწილეობა ათმა გუნდმა მიიღო. ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს ნაგვაზაოს და ცენტრის გუდები დაუპირისპირდნენ.

გამოვლინდა გამარჯვებული, რომელიც მონაწილეობას რეგიონალურ ტურნირში მიიღებენ. გამარჯვებული და მონაწილე გუნდები თასებით დაჯილდოვდნენ. დასახელდნენ ნომინაციებში გამარჯვებულებიც. ტურნირი მარტვილის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის ორგანიზებით და მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

13 ივლისს მარტვილის მუნიციპალიტეტის ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში, მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით და მერიის მხარდაჭერით, ღონისძიება „ერთად, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისთვის!“ გაიმართა. ღონისძიებაზე მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე წარდგენილი პედაგოგები მადლობის სიგელებით დააჯილდოვეს. მადლობის სიგელებით ასევე დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტის სკოლები. მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები მაყურებლის წინაშე მუსიკალური, მხატვრული და ქორეოგრაფიული ნომრებით წარსდგენენ.

29 ივლისს ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „ლეგენდების ქვეყანა“ მარტვილში საზეიმოდ გაიხსნა. ფესტივალის მონაწილეებმა ღონისძიება ქალაქის ცენტრში, მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში წინ, საზეიმო კონცერტით გახსნეს. ფესტივალში მონაწილეობენ: საქართველოს, ლატვიის, თურქეთის, სომხეთის, ინდონეზიის, ბელორუსიის, სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები და ჯგუფები. ფესტივალი საზეიმოდ 2 აგვისტოს დაიხურა.

31 ივლისს მარტვილის მუნიციპალიტეტის ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში, მარტვილელი პოეტის თამარ სხულუხიას ლექსების კრებულის “მზის ბილიკებზე გადაკარგული სამი ვარდი” პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიების მონაწილეებმა მხატვრული და მუსიკალური ნომრები შეასრულეს.

8 აგვისტოს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან 16 წელი გავიდა. 16 წლის წინ, 2008 წლის 8 აგვისტოს, რუსულ აგრესიას ოთხი მარტვილელი ახალგაზრდა შეეწირა: გელა ჭედია – მაიორი, საქართველოს შეიარაღებული ძალების მეხუთე ბრიგადის 53-ე ბატალიონის მეთაური; პაატა კოპალიანი – მესამე ბრიგადის საინჟინრო ბატალიონის ასეულის სერჟანტი; გიზო წულაია – გორის სატანკო ბატალიონის კაპრალი; ბესიკ ხულორდავა – შსს მარტვილის რაიონული სამმართველოს ოფიცერი, ლეიტენანტი. ადგილობრივი ხელისუფლებისა და

საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად პატივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას.

14 აგვისტოს მარტვილის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და მხარდაჭერით დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯგუფ 1/4 -ისა და ლინდა ადამიანს კონცერტი გაიმართა.

29 აგვისტოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში „ბანძის სიონობა" აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით ბანძის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინა. საღამოს კი ღია ცის ქვეშ საზეიმო კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ მამა გიორგი ბასილაია ოჯახთან ერთად, მარტვილის სიმღერისა და ცეკვის მუნიციპალური ანსამბლი ,,მარტვილი", ჯგუფი „ურსა" და თამთა კაკულია, „ბანძის სიონობა" დეკანოზ შალვა კეკელიას ინიციატივით, მეუფე სტეფანეს ლოცვა-კურთხევითა და მარტვილის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების მხარდაჭერით გაიმართა.

31 აგვისტო – ქართველი მშვიდობისმყოფელის დღე აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით სამშვიდობო ოპერაციაში დაღუპული შალვა ფაილოძის საფლავი გვირგვინით შევამკეთ  და დაღუპული სამხედროს ხსოვნას პატივი მივაგეთ. შალვა ფაილოძე მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი იყო. 2012 წლის იანვარში, ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში დაიღუპა.

5 სექტემბერს ქალაქ ქობულეთში თოჯინური თეატრების ფესტივალი "მზიანი საქართველო" გაიმართა. ფესტივალში მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული თოჯინების თეატრი მონაწილეობდა. თეატრის დასმა მაყურებლის წინაშე სპექტაკლი „მკვეხარა ყვინჩილა" წარადგინა და დიდი მოწონება დაიმსახურა (რეჟისორი ლევან გაბრიჭიძე). მარტვილის თოჯინების თეატრი 2022 წელს, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით დაარსდა და დიდი პოპულარობით სარგებლობს მარტვილელ ბავშვებში.

25 სექტემბერს მარტვილის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად წმინდა მეფის დავით აღმაშენებლის აღმზრდელისა და ვეზირთუხუცესის წმინდა მღვდელმთავრის გიორგი

ჭყონდიდელ – მწიგნობართუხუცესის ხსენების დღე "ჭყონდიდლობა" აღინიშნა. მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში წირვა აღავლინა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა მეუფე სტეფანემ. ყონდიდლობასთან დაკავშირებით მარტვილში მთელი დღის განმავლობაში გასართობი და სპორტული ღონისძიებები მიმდინარეობდა. მარტვილის ცენტრში მთავარ სცენაზე ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. მთელი დღის განმავლობაში, მსურველებს შესაძლებლობა ქონდათ დაეთვალიერებინათ კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრები (პედაგოგი ამალია ჭილაია), ზაზა სხულუხიას ნახატების პერსონალური გამოფენა, ღონისძიებაზე წარმოდგენილ იქნა ხელთნაკეთი საყოფაცხოვრებო ნივთების გამოფენა-გაყიდვა; ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული ნატურალური პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. კომპლექსური სასპორტო სკოლის ორგანიზებით ჩატარდა სპორტული ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. საფეხბურთო სკოლის საწვრთნელ ბაზაზე სამოყვარულო ფეხბურთის ჩემპიონატი გაიმართა. მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების, საგანმანათლებლო რესურსცენტრის და სკოლამდელი დაწესებულებების ცენტრის წარმომადგენლებმა მეგრული ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული კუთხეები მოაწყვეს, სადაც დამთვალიერებელს მეგრული სამზარეულოს დაგემოვნება შეეძლო. დასახელდნენ და სიგელებით დაჯილდოვდნენ საპატიო მარტვილელები. მარტვილელების განწყობაზე იზრუნა ჯგუფმა „რეგიონმა". ღონისძიებას დაასრულებს გრანდიოზული ფოიერვერკი.

27 სექტემბერი საქართველოს ისტორიაში ტრაგიკული დღე აღინიშნა. სოხუმის დაცემიდან 31 წელი გავიდა. ამ დღესთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ შენობებზე სახელმწიფო დროშები დაუშვეს. ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქალაქ მარტვილში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეომრებისთვის პატივის მისაგებად მემორიალი გვირგვინით შეამკეს. მამა შალვა ჯვებენავამ ომში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა.

## შიდა აუდიტი

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ნაწილია შიდა აუდიტი. შიდა აუდიტი არის დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც ქმნის დამატებით ღირებულებას და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიას ეხმარება მიზნების მიღწევაში, რისკების შეფასებასა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესებაში. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს რისკების შეფასებასა და მათი მართვის პროცესის მონიტორინგს, საჭირო ღონისძიებების გატარებით არსებული რისკების მისაღებ დონეზე შენარჩუნებასა და შემცირებას. რისკის შეფასების პროცესი წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს და მოიცავს რისკებს, რაც ეხება მის საქმიანობას წარსულში, აწმყოსა და მომავალში. რისკების შესაფასებლად ჩატარებული შიდა აუდიტორული ღონისძიებები ითვალისწინებს უშუალოდ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ და ადმინისტრაციულ ერთეულებს, ამასთან მუნიციპალიტეტში შექმნილ კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის შეფასებას, რეკომენდაციების გაცემასა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევას. შიდა აუდიტის ხედვა მიმართულია მუნიციპალიტეტში ძლიერი შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვისკენ, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალე, ეფექტურ, ეკონომიურ და ეფექტიან ხარჯვას. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, შიდა აუდიტის ეთიკის კოდექსის, შიდა აუდიტის სუბიექტის დებულებისა და წლიური საქმიანობის გეგმის შესაბამისად. შიდა აუდიტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის თანმდევი რისკების დადგენა და შეფასება, რათა დროულად გამოავლინოს არსებული პრობლემები და მოახდინოს მათი უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია.

რისკის შეფასება შიდა აუდიტის სუბიექტისთვის აქტუალური და აუცილებელი საკითხია, რომელსაც არეგულირებს საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“. აღნიშნული კანონისა და შიდა აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის, შიდა აუდიტის გლობალური სტანდარტების თანახმად,

შიდა აუდიტის 2024 წლისთვის საქმიანობის დაგეგმვა განხორციელდა რისკზე დაფუძნებული გეგმის შემუშავებით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და ა.(ა)ი.პ-ის რისკის შეფასების პროცესი დაიწყო აუდიტის სივრცის განსაზღვრით და შემდეგ რისკების პრიორიტეტულობის დადგენით, რაც შემდგომში გახდა წლიური გეგმის პროექტის შემუშავების საფუძველი.

ჩატარებული სამუშაოების საბოლოო შედეგს წარმოადგენდა შიდა აუდიტის მიერ წლიური გეგმის შემუშავება გამოვლენილი პრიორიტეტების შესაბამისად, მმართველობითი რისკებისა და ოპერაციული საქმიანობის შემდეგი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. 2024 წლის გეგმაში გათვალისწინებულია ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმებების ჩატარება.

აუდიტის პრიორიტეტებისა და არსებული რისკების გამოსავლენად შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა ა.(ა)იპ მარტვილის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებო დაწესებულების; მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის; ა.(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე დაწესებულება „მარტვილის საფეხბურთო სკოლა“-ის; ა.(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის „გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“-ის აუდიტის გარემოს კვლევა. ა.(ა)ი.პ-თან მიმართებაში შემუშავებულ იქნა შეფასების ერთიანი სტრატეგია, სადაც ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება, საკუთარი შემოსავლები და თანამშრომელთა რაოდენობა. ჩატარებული გარემოს კვლევა საფუძვლად დაედო რისკზე დაფუძნებული წლიური გეგმის შედგენას.

2024 წლის 15 იანვრიდან 18 ოქტომბრის განმავლობაში ჩატარდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება ა.(ა)იპ მარტვილის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებო დაწესებულების; მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის; ა.(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე დაწესებულება „მარტვილის საფეხბურთო სკოლა“-ის; ა.(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის „გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“-ის, შემოწმება მიზნად ისახავდა ამ პროცესთან დაკავშირებით არსებული კონტროლების შეფასებას, რისკების იდენტიფიცირებას და რისკების მართვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას.

შემოწმება შეეხო საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას, საკუთარ შემოსავლებს, სახელმწიფო შესყიდვებს. აუდიტის პროცესში გამოვლინდა ძირითადი მიგნებები, რისკები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. მთლიანობაში აუდიტის ობიექტების საქმიანობა გამონაკლისი შემთხვევების გარდა შეფასდა დამაკმაყოფილებლად. ამჟამად მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს ა.(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის „კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტორულ შემოწმებას. ხოლო მ/წლის წლიური გეგმით გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმება ა.(ა)ი.პ მარტვილის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრში განხორციელდება 2024 წლის გეგმის შესაბამისად.

2024 წლის 15 იანვრიდან 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით აუდიტის პროცესში გამოვლენილი მიგნებებიდან გაცემულ იქნა 6 რეკომენდაცია.

მიმდინარე წლის 10 თვის საანგარიშო პერიოდში მარტვილის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მიერ, მარტვილის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში, მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ა.(ა)ი.პ-ში ასევე მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში 10 თვის საანგარიშო პერიოდში ყოველდღიურ რეჟიმში მოწმდებოდა თანამშრომელთა გამოცხადება მათთვიის განკუთვნილ ადმინისტრაციულ შენობებში, რადროსაც გამოვლენილ იქნა 5 გადაცდომა რაზეც გამოყენებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახდელები (შენიშვნა-გაფრთხილება).

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების, საქმიანობა რომელიც ეფუძნება 2024 წელს ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებებს და გაცემული რეკომენდაციების შემოწმების მონიტორინგს შეიძლება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური აგრძელებს მუშაობას რისკზე დაფუძნებული წლიური გეგმის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 დეკემბრის N ბ58.5823354001 ბრძანებით. დღეის მდგომარეობით სრულთავსებაშია გეგმაში გაწერილი

აუდიტორული შემოწმებები და სხვა პროცესები, რომელიც გეგმით არის გათვალისწინებული 2024 წელს.

ხოლო საბოლოო შედეგები, ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად ცნობილი და სრულად ასახული იქნება მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის წლიურ ანგარიშში, რომელიც წარედგინება მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს 2025 წლის 31 იანვრამდე.

პატივისცემით

თორნიკე ჯანაშია

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი